

ეფექტიური ინოვაციური მენეჯმენტი - ქვეყნის საერთაშორისო იმიჯის გაუმჯობესებისაკენ

EFFECTIVE INNOVATIVE MANAGEMENT - TO IMPROVE THE COUNTRY'S INTERNATIONAL IMAGE

თამაზი გამსახურდია,

ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ასოცირებული პროფესორი საქართველო, ქუთაისი

თეიმურაზ ფანსტვენიძე,

ტექნიკურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი საქართველო, ქუთაისი

TAMAZI GAMSAKHURDIA,

Doctor of Economic, Associate Professor, Akaki Tsereteli State University Georgia, Kutaisi

TEIMURAZ PESTVENIDZE,

Academic Doctor of Technical Sciences, Associate Professor, Akaki Tsereteli State University, Georgia, Kutaisi

ანოტაცია

ნაშრომში განხილულია ქვეყნის და ქართველი ერის საერთაშორისო იმიჯი კრიტიკულ ზღვარზე. ამის მიზეზად მიგვაჩნია ქვეყანაში მოუგვარებელი პრობლემები, ისეთი, როგორცაა ეკონომიკის განვითარების, ადამიანის კონსტიტუციური უფლებების და ინფრასტრუქტურის დაბალი დონე.

ნიშანდობლივია, რომ ერისა და სოფლის დასუსტება ქვეყნის ისტორიის, ტრადიციების განადგურების ტოლფასია. ამისათვის აუცილებელია დემოგრაფიული ვითარების გაჯანსაღება. დემოგრაფიული პოლიტიკის ერთერთი ძირითადი მიმართულება უნდა იყოს მასტიმულირებელი და ხელშემწყობი ეფექტური პირობების შექმნა. საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება გამოვიჩინოთ ბავშვთა სიკვდილიანობის შემცირებასა და საერთოდ ჯანდაცვის გაუმჯობესების მიზნით. ჰარმონიული ურთიერთობების დამყარება ხალხსა და სახელმწიფო ინსტიტუციებს შორის ხელს შეუწყობს ქვეყნისა და მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლებას. ყოველივე ეს დაფუძნებული უნდა იყოს ერის ტრადიციულ ფასეულობების გათვალისწინებაზე, ხალხისა და ქვეყნის კეთილდღეობის ამაღლების ყოველმხრივ ზრუნვაზე. ქვეყნის ძირითად რესურსად

უნდა იქცეს ჯანმრთელი, კარგად აღზრდილი, განათლებული, ზნეობრივად ჩამოყალიბებული, პატრიოტული სულისკვეთებით გამოორჩეული ადამიანი. ქვეყანაში პრიორიტეტული უნდა იყოს ინოვაციების დანერგვა ყველა სფეროში. ამისათვის უნდა მოხდეს ინოვაციების ნახალისება. ქვეყანაში ტარდება ბევრი კონკურსი ახალგაზრდებს შორის, იქმნება ინოვაციური კლუბები, იხარჯება ფინანსები და შედეგი ისაა, რომ გამოორჩეული ახალგაზრდობა მიყავთ უცხოეთში სასწავლებლად, სამწუხაროდ მათგან საუკეთესონი უკან აღარ ბრუნდება, ვინც ბრუნდება პერსპექტივის გარეშე რჩება, რადგან აქარ ხვდებათ ისეთი გარემო, სადაც სრულად გამოიყენებს მიღებულ ცოდნას.

იმის გამო, რომ ხარვეზებია განათლებაში არ გვყავს კვალიფიციური კადრი, იკარგება განათლებისა და შრომისადმი ინტერესი, მკვეთრად ეცემა ცხოვრების დონე, ღრმავდება თაობათაშორის გაუცხოება, უარესდება დემოგრაფიული მდგომარეობა, იმატებს უპერსპექტიულობის შეგრძნება, მატულობს ემიგრაცია, ხდება ეროვნული ფასეულობების გადაფასება, ნიაკდება და გაპარტახების პირასაა მისული ეროვნული სიმდიდრეები, კატასტროფულად უარესდება ქვეყნის ეკოლოგია, მოუფ-

ლელობისა და არასწორი ექსპლუატაციის შედეგად გამოფიტულია ისედაც მწირი სავარგულეები. კოლხეთის დაბლობშიც კი შეიმჩნევა გაუდაბნოების სანყისი პროცესები.

შევემნათ სამართლებრივი ბაზა იმისათვის, რომ მკაცრად ვაკონტროლოთ ინვესტირებთან დადებული ხელშეკრულების შესრულების პირობები. ქვეყანაში ყველა პირობა არსებობს იმისათვის რომ გონივრულად გამოვიყენოთ ჩვენ ხელთ არსებული ბუნებრივი რესურსები და ეფექტური ხასიათი მივცეთ ქვეყნის რეგიონების განვითარებას. ქვეყანაში უნდა იქნას მიღებული გადამწყვეტი ზომები ისეთი საკანონმდებლო ბაზის შექმნისა ბუნებრივი რესურსების რაციონალურად გამოყენების, ინვესტიციების მართვის საქმეში, რომელიც ნაკლებ ზიანს მიაყენებს ქვეყნის ინტერესებს და მეტ სარგებლობას მოუტანს მის ეკონომიკურ განვითარებას.

ეკონომიკის აღმავლობის ერთერთი მნიშვნელოვანი ეტაპია ახალი სახეობის პროდუქციის შექმნა, ახალი ბაზრების დივერსიფიცირება და ახალი რესურსების მოძილიზება-ათვისება. უფრო მეტი აქტიურობაა საჭირო ეკონომიკაში სიახლეების დანერგვისათვის და არსებული, ჯერ კიდევ გამოუყენებელი რესურსების ათვისება-გააქტიურების საქმეში.

ქვეყანაში განვითარებულმა ამ და სხვა ნეგატიურმა მოვლენებმა უარყოფითი გავლენა იქონია ქვეყნის მოსახლეობის ცხოვრების პირობებზე. მოდუნდა ქვეყნისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის აგრო-სექტორისადმი ყურადღება, რომელმაც მოსახლეობის დიდი ნაწილი სიღარიბის ზღვარს მიღმა დატოვა.

ხელისუფლების ერთერთი მთავარი მიზანი უნდა იყოს ქვეყნის გლობალური კონკურენტუნარიანობის ზრდა. ამ თვალსაზრისით ჯერ კიდევ არსებობს ინოვაციებისა და სამეცნიერო კვლევების დეფიციტი, რაც განათლების სისტემის არაეფექტურმა რეფორმირებამ და სამეცნიერო ინსტიტუტებზე მიზანმიმართულმა შეტევამ და ქვეყნიდან ინტელექტის გადინებამ განაპირობა. ამის გამო ქვეყნის გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი საკმაოდ დაბალია.

საკვანძო სიტყვები: ინოვაციური მენეჯმენტი, რესურსები, ფინანსები, დივერსიფიცირება.

ABSTRACT

The paper deals with the international image of the country and the Georgian nation on the critical edge. The reasons are considered to be the unresolved problems in the country such as the low level of economic development, human constitutional rights and infrastructure.

It is worth mentioning that the weakening of the nation and the village is the destruction of the country's history and traditions. It is necessary to improve the demographic situation. One of the main directions of the demographic policy is to create stimulating and facilitating effective conditions. Special attention should be paid to the reduction of child mortality and the improvement of healthcare in general. Establishment of harmonious relationship between people and state institutions will promote the welfare of the country and its population.

All these should be based on the consideration of the traditional values of the nation, overall care of the people and the country's well-being. The main resource of the country must be a healthy, well-educated, morally formidable and patriotic spirit.

The priority of the country should be the introduction of innovations in all areas. There are many competitions among young people, innovative clubs are created, finances are spent and the result is that distinctive young people are taken abroad to study.

Unfortunately, the best of them do not come back anymore, who returns they are without prospects, because there is no environment here where they can use their knowledge.

Because of the errors in education we do not have a qualified staff, we lose the interest of education and labor, there is the sharpest decline in living standards, the deepening of alienation, the demographic situation worsens, the feeling of unconsciousness increases, the emigration increases, the national values are evaluated, damaged, and ruined. The national treasures are on the critical edge. The country's ecology is dramatically worsening, as a result of the unexplained exploitation and misuse of spoils made a negative effect on the ground that is already blown out. Even in the Colchis Valley, the initial processes of desertification are observed.

Create a legal base in order to monitor strictly the terms of the contract with investors. There are all conditions in the country to use our natural re-

sources reasonably and use the country's regions effectively.

The decisive measures in the country should be taken to create such a legislative basis for the rational use of natural resources, in the management of investments which will damage less the interests of the country and will benefit more from its economic development.

One of the most important steps for the growth of economic is the creation of new types of products, diversification of new markets and mobilizing new resources. More activity is needed to implement innovations in the economy and activate still unused resources.

These and other negative developments in the country have had a negative effect on the living conditions of the country's population. The attention of the agro-sector that is the vital importance for the country has relaxed. That left most of the population behind the poverty line.

One of the main goals of the government is to increase the global competitiveness of the country. There is still a shortage of innovations and scientific researches, which is caused by ineffective reforms of the education system, deliberate attacks on scientific institutions and the intellectual drive out of the country. Because of this the index of country's global competitiveness is quite low.

Keywords: *innovation, management, resources, Finance, diversification.*

ჩვენი ქვეყნის გადარჩენა – არსებობა სა-ოცრებას უნდა შევადაროთ, რადგან ჩვენ ქართველებად დავრჩით, ერთმანეთს ქართულად ველაპარაკებით და საქართველოს მიწაწყალზე ვცხოვრობთ. სწორედ იმ სახელოვანი წინაპრების დამსახურებაა, რომლებიც დღენიადაგ იღწვოდნენ ქვეყნისათვის. სიცოცხლის ფასად შეინარჩუნეს მამული, ენა, სარწმუნოება. წინააღმდეგ შემთხვევაში ეს ქვეყანა დღემდე ვერ მოვიდოდა და ჩვენ უსათუოდ გავიზიარებდით წინა აზიის, ახლო აღმოსავლეთისა, თუ ხმელთაშუა ზღვის აუზის იმ უძველესი ხალხებისა და ცივილიზაციების ბედს, რომელთა დიდება და სახელმწიფოებრიობა ისტორიის ბნელ ლაბირინთებში ჩაიკარგა და ჩაიფერფლა. ამიტომ

გვმართებს ყველას, ერსა და ბერს, ვიაზროვნოთ სახელმწიფოებრივად, რათა გავაცნობიეროთ ის, რომ საკუთარი ბედნიერება და კეთილდღეობა შეუძლებელია ქვეყნის სიძლიერის გარეშე.

ჩვენდა სავალალოდ ქვეყნის და ქართველი ერის საერთაშორისო იმიჯი კრიტიკულ ზღვარზეა. ამის მიზეზად მიგვაჩნია ქვეყნაშ მოუგვარებელი პრობლემები, ისეთი, როგორცაა ეკონომიკის განვითარების, ადამიანის კონსტიტუციური უფლებების (შრომის, უსაფრთხოების, სამართლიანობის, დასვენების, ჯანდაცვის, დამსახურებული პენსიის და სხვა), და ინფრასტრუქტურის დაბალი დონე. ამ ფონზე იზრდება მიგრაცია, იცლება სოფელი, მთლიანად რეგიონი, უჭირს ქალაქს, ქვეყნის დემოგრაფიული სურათი კატასტროფის ზღვარზეა, ადამიანები კარგავენ პერსპექტივის რწმენას და მათში მკვიდრდება ნიჰილიზმი. თანდათან იკვრება ჯადოსნური წრე, რომლის დაძლევაც მალე შეუძლებელი გახდება.

ყოველივე ზემოთ თქმულს ადასტურებს სტატისტიკური მონაცემები. 2015 წელთან შედარებით 2016 წელს შობადობა 2680 ით, ქორწინება 4000-ით შემცირდა. 1970-ათიან წლებში მოსახლეობის ბუნებრივი მატება 76 ათასს აღწევდა, მაშინ როცა ეს მაჩვენებელი 2015 წელს 10 ათასს, ხოლო 2016 სულ რაღაც 5 ათასამდე დაეცა. იმავე წლებში ბუნებრივი მატება სოფლად 30-40 ათასიდან 359 კაცამდე დასული. თუ 2002 წელს საქართველოში გაუკაცრიელებული სოფლების რაოდენობა 143 იყო, ამჟამად 220-ს აღემატება. 2000 წელს 16 ერთკომლიანი სოფელი არსებობდა, ხოლო 2014 წელს 39-ს შეადგენდა, 2002 წელს 5000 კაციანი სოფლების რაოდენობა იყო 28, ამჟამად მათი რიცხვი 12-მდე შემცირებული. კატასტროფულად მცირდება ეთნიკურად ქართველი მოსახლეობის საერთო ხვედრითი წილი ჩვენს ქვეყანაში. ერის და სოფლის დასუსტება ქვეყნის ისტორიის, ტრადიციების განადგურების ტოლფასია. ამისათვის აუცილებელია დაემოგრაფიული ვითარების გაჯანსაღება, რომელიც წარმოუდგენელია ტრადიციული, არანაკლებ სამ თაობიანი ოჯახების აღორძინების გარეშე. დემოგრაფიული პოლიტიკის ერთერთი ძირითადი მიმართულება უნდა იყოს მასტიმულირებელი და ხელშემწყობი ეფექტური პირობების შექმნა. მართალია ამ მიმართულებით ნაბიჯები იდგმება, მაგრამ დღევანდელი კატასტროფული

მდგომარეობიდან თავის დასაღწევად ეს ძალზე მცირეა. მაშინ როცა დემოგრაფიულად უფრო ნაკლებ საშობ მდგომარეობაში მყოფი ქვეყნები სოლიდურ ფინანსურ თუ სხვა საშუალებებს არ იშურებენ ამისათვის (არა მარტო თავიანთ ქვეყნებში, არამედ საზღვარგარეთ მცხოვრები საკუთარი დიასპორებისთვისაც). საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება გამოვიჩინოთ ბავშვთა სიკვდილიანობის შემცირებასა და საერთოდ ჯანდაცვის გაუმჯობესების მიზნით (აქ საუბარი უნდა იყოს არამარტო სამედიცინო დაზღვევაზე, არამედ სამედიცინო მომსახურებისა და ნაძლების განუსაზღვრელად მაღალ ფასებზე და მათ დაბალ ხარისხზე). ჰარმონიული ურთიერთობების დამყარება ხალხსა და სახელმწიფო ინსტიტუციებს შორის ხელს შეუწყობს ქვეყნისა და მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლებას. ყოველივე ეს დაფუძნებული უნდა იყოს ერის ტრადიციულ ფასეულობების გათვალისწინებაზე, ხალხისა და ქვეყნის კეთილდღეობის ამაღლების ყოველმხრივ ზრუნვაზე. ამ საქმეში აქტიურად უნდა იყოს ჩართული ფართო საზოგადოება, მეცნიერება, განათლება, კულტურა, სპორტი, რელიგია და სხვა. ქვეყნის ძირითად რესურსად უნდა იქცეს ჯანმრთელი, კარგად აღზრდილი, განათლებული, ზნეობრივად ჩამოყალიბებული, პატრიოტული სულისკვეთებით გამორჩეული ადამიანი. ადამიანებს ახასიათებს გარემო პირობებთან ადაპტაციის შესანიშნავი უნარი, მაგრამ ძნელია მათ გამოიჩინონ ეს უნარი გაუთავებელი და დაუმთავრებელი რეფორმების პირობებში. მითუმეტეს თუ ეს რეფორმები ყველა სფეროში ერთდროულად მიმდინარეობს, თანაც ისე, რომ არაეინ აანალიზებს ჩატარებული რეფორმების ეფექტურობასა და მის გავლენას ადამიანებისა და ქვეყნის კეთილდღეობის დონეზე. ქვეყანაში პრიორიტეტული უნდა იყოს ინოვაციების დანერგვა ყველა სფეროში. ამისათვის უნდა მოხდეს ინოვაციების ნახალისება, ახალგაზრდების მეტად ჩართვა არა მარტო სახელმწიფოს მართვის სტრუქტურებში, არამედ წარმოებისა და შემოქმედებით საქმიანობაში. ამით შევამცირებთ ნიჭიერი ახალგაზრდობის გადინებას საზღვარგარეთ და მათი ნიჭისა და ცოდნის გამოყენებას ქვეყნისათვის სასარგებლოდ. ქვეყანაში ტარდება ბევრი კონკურსი ახალგაზრდებს შორის, იქმნება ინოვაციური კლუბები თუ ფაბლაბები, იხარჯება ფინანსები და შედეგი

ისაა, რომ გამორჩეული ახალგაზრდობა მიყავთ უცხოეთში სასწავლებლად, სამწახაროდ მათგან საუკეთესონი უკან აღარ ბრუნდება, ვინც ბრუნდება პერსპექტივის გარეშე რჩება, რადგან აქ არ ხვდებათ ისეთი გარემო, სადაც სრულად გამოიყენებს მიღებულ ცოდნას.

იმის გამო, რომ ხარვეზებია განათლებაში არ გვყავს კვალიფიციური სპეციალისტები, არ გვყავს სპეციალისტი არ სრულდება სამუშაო, არ სრულდება საქმე იკარგება განათლებისა და შრომისადმი ინტერესი, მკვეთრად ეცემა ცხოვრების დონე, ღრმავდება თაობათა შორის გაუცხოება, უარესდება დემოგრაფიული მდგომარეობა, იმატებს უპერსპექტიულობის შეგრძნება, მატულობს ემიგრაცია, იყიდება შენობა-ნაგებობები და მიწის ნაკვეთები ძირითადად უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე, ხდება ეროვნული ფასეულობების გადაფასება, ნიადაგება და გაპარტახების პირასაა მისული ეროვნული სიმდიდრეები, ტყეები, მდინარეები, ნიაღისეული, კატასტროფულად უარესდება ქვეყნის ეკოლოგია, მოუვლელობისა და არასწორი ექსპლუატაციის შედეგად გამოფიტულია ისედაც მწირი სავარგულები. კოლხეთის დაბლობშიც კი შეიმჩნევა გაუდაბნოების საწყისი პროცესები.

ქვეყანამ უარი არ უნდა თქვას გარედან შემოსულ ინვესტიციებზე. პირიქით საჭიროა რაც შეიძლება მეტი ინვესტიციები მოვიზიდოთ, მაგრამ აუცილებელია მეტი გონიერება გამოვიჩინოთ, როცა საქმე ეხება ეროვნულ ფასეულობებს და სტრატეგიულ ობიექტებს, არ დავხარბდეთ ერთჯერად მოგებას, არ წამოვეგოთ მომხვეჭელი უცხოელის ანკესს, არ გადავავლოთ ქვეყნის რესურსი ვიღაც ერთი კორუმპირებული გაუმადლარი ჩინოვნიკის მადას. თუ ჩვენ ეფექტურად ვერ ვითვისებთ ბუნებრივ რესურსებს, ის მაინც უნდა მოვახერხოთ, რაც შეიძლება მეტი მატერიალური მოგება მივიღოთ, ბუნებაზე და ეკოლოგიაზე ნაკლები ზიანის მიყენებით. ასევე უნდა ჩავდოთ ინვესტორთან ხელშეკრულებაში ადგილობრივი კადრების დასაქმების, ბუნებრივი, ეკოლოგიური, თუ ისტორიული ძეგლების დაცვის მოთხოვნები და შევქმნათ სამართლებრივი ბაზა იმისათვის, რომ მკაცრად ვაკონტროლოთ ხელშეკრულების შესრულების პირობები. რაც მთავარია, ინვესტორებთან ხელშეკრულებები შეიძლება იყოს გრძელ ვადიანი და არა უვადო. სამწახაროდ

ჩვენი ქვეყნის “მესვეურებს” და თანამდებობის პირებს საერთო-სახალხო სიმდიდრე თავიანთ საკუთრებად მიაჩნიათ და ლიცენზიებს გასცემენ უცხოურ თუ შინაურ ინვესტორზე ისე, რომ ხალხს არაფერი ერგება ამ ქონებიდან და ჩვენ, ამ ქვეყნის მოქალაქეები, იმაზე უფრო ძვირად ვყიდულობთ ჩვენივე ქონებას, ვიდრე ის უცხოეთში იყიდება. თუ ასე გაგრძელდა მივიღებთ იმავე შედეგს რაც დაგვრჩა საბჭოთა მემკვიდრეობიდან. მაშინაც, იმ განუკითხაობის პერიოდში, უდიერად მოვეპყარით იმ მცირედსაც, რაც საბჭოეთის სამართალმემკვიდრე რუსეთმა დაგვიტოვა. ქონების სანაცვლოდ მივიღეთ ე.წ. ვაუჩერები, რომლებიც კაპიკებად შეიძინეს, ან უფასოდ მიითვისეს ყოფილმა ჩინოსნებმა. გამდიდრდნენ დაბალი ჩინის მქონე რუსი სამხედროები, რომლებიც ჩვენთვის კუთნილ სამხედრო ტექნიკასა თუ სანავა-საპოხ მასალებში ფულს გვახდევინებდნენ. თუ უკრაინასა და სხვა ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს ერგოთ თავიანთი ქვოტებით გამოყოფილი სამხედრო ტექნიკა, ჩვენ ჩვენი წილის 10%-იც ვერ შევინარჩუნეთ. პარადოქსია მაგრამ ფაქტია, საქართველო, საზღვაო ქვეყანა, რომელსაც საბჭოთა საზომით ორი დიდი, ფოთისა და ბათუმის, პორტი გააჩნდა, დარჩა რამდენიმე ერთეული თევზსაჭერი გემის ამარა. იმ ქვოტიდან კუთვნილი გემები ჯართის ფასად გაიყიდა თითქოსდა ამორტიზირებისა და უვარგისობის გამო. ამ დროს ცნობილია, რომ ზოგიერთი მათგანი, მცირეოდენი შეკეთებისა და მოდერნიზაციის შემდგომ, ეხლაც დაცურავენ და მოგებას აძლევენ ახალ მფლობელებს. ქვეყანას გააჩნდა მცირე გემთმშენებელი-შემკეთებელი, ტანკმშენებელი, საავიაციო (თბილისში და ქუთაისში) ქარხნები. მათი შენარჩუნებით ქვეყნის თავდაცვითუნარიანობა უფრო მაღალეფექტური და შემოსავლების მომტანიც იქნებოდა, რადგან ჩვენ სამხრეთელი მეზობელი ქვეყნების უმეტესობას საბჭოთა იარაღი საკმაოდ ჰქონდათ და მათი შეკეთება, მარტო გეოგრაფიული სიახლოვის გამო, უფრო იაფი დაუჯდებოდათ, ჩვენთვის კი უდიდესი შემოსავლების წყარო იქნებოდა. ამასთან იძულებული იქნებოდა სახელმწიფო ან თუნდაც კერძო მფლობელი ტექნოლოგიები გაეუმჯობესებინა და სხვა ახალი პროდუქციის გამოშვებაზე ეზრუნა. ეს თავის მხრივ განავითარებდა წარმოებას, გაზრდიდა

სამუშაო ადგილების რაოდენობას, შეამცირებდა ქვეყანაში კრიზისის საშიშროებას.

ქვეყანაში ყველა პირობა არსებობს იმისათვის რომ გონივრულად გამოვიყენოთ ჩვენ ხელთ არსებული ბუნებრივი რესურსები და ეფექტური ხასიათი მივცეთ ქვეყნის რეგიონების განვითარებას. ცხადია, რომ წინა საარჩევნო პერიოდში დიდი დაპირებები კეთდება, მაგრამ შედეგის მომცემი ჯერ-ჯერობით არცერთი არ გამოჩენილა.

ამ და მრავალი სხვა, ქვეყნისათვის საჭირო ბოროტო მნიშვნელობის, შეცდომებისა თუ გადახვევების გათვალისწინებითა და ახლის არ დაშვების მიზნით ქვეყანაში უნდა მიღებული იქნას გადამწყვეტი ზომები ისეთი საკანონმდებლო ბაზის შექმნისა ბუნებრივი რესურსების რაციონალურად გამოყენების, ინვესტიციების მართვის საქმეში, რომელიც ნაკლებ ზიანს მიაყენებს ქვეყნის ინტერესებს და მეტ სარგებლობას მოუტანს მის ეკონომიკურ განვითარებას.

ეკონომიკის აღმავლობის ერთერთი მნიშვნელოვანი ეტაპია ახალი სახეობის პროდუქციის შექმნა, ახალი ბაზრების დივერსიფიცირება და ახალი რესურსების მობილიზება-ათვისება, რომელიც ყოველთვის დიდ დივიდენდებს იძლევა. ამიტომ უფრო მეტი აქტიურობაა საჭირო ეკონომიკაში სიახლეების დანერგვისათვის და არსებული, ჯერ კიდევ გამოუყენებელი რესურსების ათვისება-გააქტიურების საქმეში. საქმიანი ადამიანები სიახლეების დანერგვამდე სპეციალისტებს კვლევებს უკვეთავენ და დიდ თანხებსაც ხარჯავენ ამ საქმეში მომავალი მოგების მიღების იმედად. ჩვენთან როგორც ყოველთვის ყველაფერი პირიქითაა. არსებობს მეცნიერული კვლევები უნიკალური ქართული წყლის რესურსისა, რომელსაც ინვესტორი რატომღაც არ გამოუჩნდა. ამ კვლევის მიხედვით საქართველოს გააჩნია ძვირფასი ბუნებრივი რესურსი მტკნარი წყლის სახით. ქვეყანაში წყლის მარაგი უშრეტია (და ასეთად დარჩება, თუ სათანადოდ გავუფრთხილებით ბუნებას), ამასთან სხვა ბუნებრივი სიმდიდრეებისაგან (ნავთობი, გაზი და სხვა მადნეული ნიაღისეული) განსხვავებით აღდგენადია. ბუნების ასეთ საჩუქარს ვერც ვაფასებთ და ვერც ვიყენებთ. სამწუხაროა რომ XXI საუკუნეში, ჩვენს ქვეყანაში ყოველი არჩევნების წინ მთავრობების დანაპირებში პირველ ადგილზეა დაპირება 24

საათიანი ან საერთოდ სასმელი წყლით უზრუნველყოფის შესახებ, ეს მაშინ როცა ჩვენ გავგაჩნია რესურსი ვანარმოთ დღე-ღამეში 26 მილიარდი ლიტრი მაღალ ხარისხიანი სასმელი წყალი, ანუ დედამიწის მოსახლეობის სადღე-ღამისო მოთხოვნილებაზე (17,5 მილ. ლიტრი) მეტი. აქ საუბარია არა მარტო უბრალოდ მტკნარ წყალზე, რომელიც საოცნებოა დედამიწის 7 მილიარდიანი მოსახლეობიდან 4,5 მილიარდი-სათვის, არამედ უნიკალური თვისებების მქონე, სხვადასხვა მინერალიზაციით გამორჩეულ სამკურნალო-მინერალურ წყლებზეც. იმავე კვლევებით დგინდება, რომ დაბალმინერალიზებული სასმელი წყალი მინის ხუთსართულოვან ბუნებრივ შრეებში იფილტრება და დედამიწის ზედაპირზე მზა პროდუქტის სახით ამოედინება. გასაკვირი არაა, რომ ლეგენდებში ქართულ წყალს უკდავების წყლად მოიხსენიებენ. სამწუხაროა და უყაირათობის თუ უნიათობის მაგალითია, ჰქონდეს დღე-ღამეში 26 მილიარდი ლიტრი წყლის რესურსი, როცა მოთხოვნილების დასაკმაყოფილებად მსოფლიოს 12 მილიარდი ლიტრის დეფიციტის შევსება სჭირდება. ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე საქართველოს შეუძლია 50 მილიარდი ლიტრი წყალი გაიტანოს საერთაშორისო ბაზარზე, რაც ბიუჯეტს მნიშვნელოვნად გაზრდის (ზოგიერთი გათვლებით 4,5 მილიარდი დოლარით).

ცნობილია, რომ ადამიანის ორგანიზმი შეიცავს 90%-მდე წყალს. სიცოცხლის უნარიანობის შენარჩუნებისათვის მისთვის აუცილებელია დღე-ღამეში 3-6 ლიტრი წყალი მიიღოს. წყლის ბევრად მეტი რაოდენობაა საჭირო სანიტარული და სამეურნეო-ყოფითი მოთხოვნილებისათვის. მოსახლეობის მიერ წყლის მოხმარება ეპიდემიოლოგიური თვალსაზრისით უნდა იყოს უზიფათო. წყალი არ უნდა შეიცავდეს ინფექციური დაავადებების გამომწვევ მიკრობებს და ვირუსებს. წყლის ეპიდემიოლოგიურ უსაფრთხოებას უზრუნველყოფს ჩამდინარე წყლის ბიოლოგიური წმენდა, სასმელი წყლის გაუსნეზოვნება, წყალსატევების სანიტარულ დაცვა და სხვ. როგორც იუნესკოს მონაცემებიდან ირკვევა, მსოფლიოში ყოველწლიურად 250 მილიონი ადამიანი იღუპება სასმელი წყლის დეფიციტის ან უხარისხო წყლის მოხმარების მიზეზით. საერთაშორისო ორგანიზაციების პროგნოზით, რამდენიმე წელიწადში, მტკნარი წყლის მსოფ-

ლიო რესურსის შემცირების გამო 4 მილიარდი ადამიანი დარჩება ფიზიოლოგიური საჭიროებისათვის აუცილებელი წყლის მინიმუმის გარეშე. აღნიშნული პრობლემების გადაწყვეტის საქმეში საქართველომ უდავოდ უნდა შეიძინოს მაღალი ხარისხის მქონე ბუნებრივი სასმელი წყლის მწარმოებელი და მიმწოდებელი, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ქვეყნის ფუნქცია.

წყალი არის ის უპირველესი სასიცოცხლო მნიშვნელობის კვების პროდუქტი, რომლის გარეშეც კაცობრიობის არსებობა წარმოუდგენელია, ამიტომ თითქმის ყველა ქვეყანაში ამ მხრივ მეტ-ნაკლები პრობლემები არსებობს. ჩვენს ქვეყანაში წყალი ბუნების მიერ ნაბოძები ღვთიური ძალაა, რომლის მიმართ არაერთი მითი თუ ლეგენდები არსებობს.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველო მდიდარია მდინარეებით (26060), რომელთა საერთო სიგრძე 60 ათას კმ-ს აღწევს, ტბებით (850) რომელთა მოცულობა 0.5 მლნ მ3-ს აღემატება და წყალსაცავებით (44) წყლის ზედაპირის საერთო ფართობი 163 კმ2-ია. ჩვენში მყინვარების რიცხვი 786 აღწევს, ხოლო საერთო ფართობი — 555.88 კმ2-ს. საქართველოში, ასევე, მრავლადაა ჩანჩქერები. ის გვხვდება სამეგრელოში (ოჩხომურის, აბაშისა და ტობას), აფხაზეთში (გეგის, კლიჩის), ყაზბეგის რაიონში (არშის, გველეთის), კახეთში (ლაგოდეხის) და სხვ.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომი წლების სტატისტიკურმა მონაცემებმა დაგვანახა, თუ როგორ მოიშალა და განადგურდა აგრო-სექტორის ისეთი წამყვანი დარგები როგორცაა მეჩაიობა, მეციტრუსეობა, მეხილეობა, დაფნის წარმოება, მეთხეობა და მრავალი სხვა სასიცოცხლოდ მნიშვნელობის დარგები, რომელთა ხვედრითი წილი აგრო-სექტორის მთლიან შიდა პროდუქტში საკმაოდ დიდი იყო. ძირფესვიანად განადგურდა არსებული ჯერ კიდევ ვარგისიანი ტექნიკა, რომელიც ჯართად აქციეს. პრივატიზაციის შედეგად პირველ ეტაპზე შენარჩუნებული უნდა ყოფილიყო საწარმოების 20-30% მაინც, რომელსაც შეეძლო ეწარმოებინა ის საჭირო პროდუქტი, რომელიც უზრუნველყოფდა მოსახლეობის მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას შიდა ბაზარზე, ამის ნაცვლად შიდა ბაზრის კარი ფართოდ გაუღლეთ მდარე ხარისხის, მაგრამ იაფფასიან გენმოდინეციურებულ იმპორტირებულ საქონელს.

საქართველოში დამოუკიდებლობის გამოცხადების დღიდან თავი იჩინა საბჭოთა მენტალურმა დამოკიდებულებამ საქმისადმი. ხელისუფლებაში და საწარმოს მმართველობაში მოკალათდნენ ძველი პარტიული და სამეურნეო ნომენკლატურა, რომლებიც ინერციით, საბჭოთა მეთოდებით განაგრძობდნენ მართვას. ამას თან ერთოდა უამრავი სუბიექტური თუ ობიექტური, შინაგანი და გარე პრობლემები, რამაც დიდი დალი დაასვა ქვეყნის განვითარებას. მმართველი ელიტა შეჩვეული იყო ზემდგომი ორგანოების დირექტივების უსიტყვო შესრულებას და მათი წარმატებულობა დაკავშირებული იყო იმასთან, თუ როგორ მოახერხებდნენ გამოყოფილი ფონდების დროზე მოპოვებასა და ათვისებას, ხოლო შემსრულებლები მთლიანად დამოკიდებული იყვნენ ხელმძღვანელობაზე და სრულიად ინერტულად და ყოველგვარი მოტივაციის გარეშე, ფორმალურად ასრულებდა სამუშაოს. ყველას, დაწყებული დამლაგებლიდან წარმოების ხელმძღვანელამდე, საზრუნავი იყო რაც შეიძლება მეტი მატერიალური ფასეულობა წამოეღო საწარმოდან. ეს ჩვენში, ხოლო აღმოსავლეთ ევროპის სოციალისტურ ქვეყნებში უფრო მეტი დოზით იყო განვითარებული კერძო საკუთრება (უნგრეთში, პოლონეთში, ჩეხოსლოვაკიაში), რამაც დადებითი როლი ითამაშა ამ ქვეყნებში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებაში. იგივე გზას დაადგა ბალტიისპირეთის ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკები. როცა სსრ კავშირში “გარდქმნის” პერიოდში დაუშვეს კოოპერატივების შექმნა, თუ ჩვენში უმეტეს წილად სავაჭრო და უფრო ნაკლებად მომსახურეობისა და კიდევ უფრო ნაკლები სამეწარმეო კოოპერატივები იქმნებოდა, ბალტიისპირეთში მასიურად ყალიბდებოდა სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო საწარმოები. იმ პერიოდში მათი მოქალაქეების საბანკო თუ ნაღდი ფულადი დანაზოგები იხარჯებოდა მანქანა-დანადგარებისა სხვადასხვა დანიშნულების ტექნიკის შექმნაზე, ჩვენი მოქალაქეების მილიონობით დანაზოგები კი “შემნახველმა ბანკმა” შთანთქა. ეს თანხა დაკარგა მოსახლეობამაც და სახელმწიფომაც, რადგან მისი საშინაო ვალად ასახვაზე დიდი ბრძოლა მიმდინარეობს დღესაც. აღსანიშნავია აგრეთვე ისიც, რომ საბჭოთა ჩაკეტილი მეურნეობიდან დროზე ვერ განხორციელდა საგარეო ბაზარზე ორიენტირებულ, თანამედროვე მსოფ-

ლიო მეურნეობის განვითარების ძირითადი ტენდენციად და საერთაშორისო ბიზნესის განვითარების ეკონომიკური საფუძვლად მიჩნეულ “ლია ეკონომიკაზე” გადასვლა. სამწუხაროდ, დღეს-დღეობით ჩვენი ქვეყნის ჩართულობა გლობალიზაციის პროცესში მხოლოდ ნატოსა და ევროსტრუქტურებისაკენ ლტოლვაში გამოიხატება და ამ დროს იმპორტის სახით უპირატესად მზა პროდუქტი შემოედინება, ხოლო ექსპორტით რესურსები გაედინება.

ქვეყანაში განვითარებულმა ამ და სხვა ნეგატიურმა მოვლენებმა უარყოფითი გავლენა იქონია ქვეყნის მოსახლეობის ცხოვრების პირობებზე. მოდუნდა ქვეყნისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის აგრო-სექტორისადმი ყურადღება, რომელმაც მოსახლეობის დიდი ნაწილი სიღარიბის ზღვარს მიღმა დატოვა. იწყება უმუშევრობის, უიმედობის ჯერ-ჯერობით დაუსრულებელი პროცესი - მოსახლეობის დიდი ნაწილი ტოვებს სოფელს, ლეგალურად თუ არალეგალურად მიემგზავრება საზღვარგარეთ ლუკმა-პურის საშოვნელად, იქ კი, ხშირ შემთხვევაში ქართველი კაცის იმედები კრახით მთავრდება.

ხელისუფლების ერთერთი მთავარი მიზანი უნდა იყოს ქვეყნის გლობალური კონკურენტუნარიანობის ზრდა. ამ თვალსაზრისით ჯერ კიდევ არსებობს ინოვაციებისა და სამეცნიერო კვლევების დეფიციტი, რაც განათლების სისტემის არაეფექტურმა რეფორმირებამ და სამეცნიერო ინსტიტუტებზე მიზანმიმართულმა შეტევამ და ქვეყნიდან ინტელექტის გადინებამ განაპირობა. მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის მიერ გამოქვეყნებული მონაცემებით, ქვეყნის გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი საკმაოდ დაბალია. ამის მიზეზად და საქართველოს ერთ-ერთ უმთავრეს პრობლემად სამუშაო ძალის დაბალ კომპეტენცია სახელდება. ამას ემატება პროტექციონიზმი, ნეპოტიზმი, ნათესაობრივი თუ მეგობრული კლანების არსებობა.

საბჭოთა რესპუბლიკებს შორის საქართველო ერთ-ერთი მონინავე იყო მოსახლეობის ცხოვრების დონით, ახლა კი, მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის ანგარიშის მიხედვით, საქართველო თავისი კონკურენტუნარიანობის რეიტინგით 131 ქვეყნიდან ოთხმოცდამეათე ადგილზეა, ხოლო 2010 წლისათვის ერთ სულ მოსახლეზე გათვლილი მთლიანი შიდა პროდუქტის რეალური მოცულობით 1990 წლის მაჩვენებელს 25%-ით

ჩამორჩება, რაც მას ყოფილ საბჭოთა ქვეყნებს შორისაც არასახარბიელო მაჩვენებლებით გამოარჩევს. მაგალითად, ამავე პერიოდში ესტონეთში ზრდამ შეადგინა 63%, ლატვიაში 24%, სომხეთში 66%, აზერბაიჯანში-87%. მშპ საქართველოში 1997 წლიდან 2003 წლის ჩათვლით გაიზარდა 70%-ით, ხოლო 2004 წლიდან 2009 წლის ჩათვლით მხოლოდ 36%-ით; ბოლო წლების განმავლობაში გაიზარდა მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა, მაგრამ რეალური ეკონომიკური განვითარება ვერ მოხდა. ზრდის სტიმულირებისათვის დიდი როლდენობით კრედიტი იქნა აღებული, გაიზარდა საგარეო ვალდებულებები და გასხვისდა სტრატეგიული მნიშვნელობის სახელმწიფო ქონება. პერმანენტულად უარესდება ვითარება დასაქმებაში, იზრდება უმუშევრობა და კრიტიკულ ნიშნულს მიაღწია ფარულმა უმუშევრობამ. ოფიციალური სტატისტიკით სოფლის მცხოვრები თვითდასაქმებულებს მიეკუთვნებიან, ამიტომ სოფლად სტატისტიკური მონაცემებით უმუშებრობის 6,5%-იანი მაჩვენებელი გვაქვს, მაშინ როცა ეს მაჩვენებელი 27% მდებარეობს. სტატისტიკას თუ მოვიშველიებთ, საქართველოში დაქირავებულთა რაოდენობა 600 000 არ აღემატება, ხოლო თვითდასაქმებულთა რაოდენობა მილიონზე მეტია. ამათგან 50% სოფლის მცხოვრებია. მნიშვნელოვანია, რომ 15 წელია არც სოფლის მეურნეობა ვითარდება ტექნოლოგიურად და არც ეკონომიკის სხვა სექტორებში იქმნება ახალი სამუშაო ადგილები. ამასთან უკვე მრავალი წლის განმავლობაში მკვეთრად ჩამოყალიბდა საქართველოდან სხვადასხვა ქვეყნებში სამუშაო ძალის გადინების სახიფათო ტენდე-

ცია. გასული სამუშაო ძალის აბსოლუტური უმრავლესობა დაკავებულია დაბალკვალიფიციური, დაბალანაზღაურებადი შრომით და ძალიან მცირე ნაწილია მაღალკვალიფიციურ სამუშაო ადგილებზე.

ჩვენი ქვეყანა არავის მონა არ უნდა იყოს, ქართველი ხალხი ყოველთვის გამირული სულისკვეთებით გამოირჩეოდა, დღეს კი ყველა ჯურის ვაი კონსულტატებისა თუ გულშემატკივრების მითითებების, რომელთაც რჩევების ფორმით ნიღბავენ, სავალდებულოდ აღსრულების პოლიგონად ვიქეცით. ოღონდ უცხოელს მოეწონოს და არ ეწყინოს, ჩვენი ჩინოვნიკები არას დაგიდევნენ ეროვნული ინტერესების ხელყოფასაც კი.

ქვეყანა მოიგებს მაშინ, როცა არჩევით და დანიშნულ თანამდებობებზე ხელისუფლების სხვადასხვა შტოებში იქნებიან პატრიოტული სულისკვეთებით გულანთებული და ამასთანავე კარგი წარსულის, რეპუტაციისა და მაღალი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტები. საქართველოს მოსახლეობას მეტი საშუალებები უნდა ჰქონდეს აკონტროლოს საჯარო მოხელეები, შეეძლოთ მათი გამოწვევა არჩევითი ორგანოებიდან და უღირსების განთავისუფლების მოთხოვნა დაკავებული თანამდებობებიდან. მაშინ მავანსა და მავანს აღარ ექნება ლტოლვა დიდი თანამდებობისაკენ, გამორჩეული პრივილეგიებისა და განუსაზღვრელი უფლებების მისაღებად, მოვალეობების შესრულების უგულველყოფით. ამით ხალხის-ნება სურვილები მეტად დაკმაყოფილდება და ქვეყანაც უფრო სწრაფად და მიზანმიმართულად განვითარდება.